

ტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი

ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი თბილისი, 2025

განაცხადი

ვადასტურებ, რომ მოცემული სამაგისტრო ნაშრომი სრულად არის შესრულებული ჩემს მიერ და წარმოადგენს ჩემს ავტორულ ნამუშევარს. ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო და მასალა მითითებულია შესაბამისი აკადემიური წესების დაცვით.

მაგისტრი,

აბსტრაქტი

საქართველოში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარგს, თუმცა, ამ სფეროს განვითარებას მრავალი გამოწვევა აქვს. თანამედროვე სოფლის მეურნეობა არ შეიძლება აღქმული იქნას მხოლოდ როგორც ტრადიციული აგრარული საქმიანობა — იგი სულ უფრო მეტად გადაიქცევა ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სექტორად, რომელიც მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. ტექნოლოგიების ინტეგრაცია სოფლის მეურნეობაში გულისხმობს ავტომატიზაციას, ციფრულ მონაცემთა ანალიზს, თანამედროვე სარწყავი სისტემების, მექანიზაციის, აგრორობოტიკისა და სხვა ინოვაციური გადაწყვეტილებების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის მოცულობას, ამცირებს დანახარჯებს და აუმჯობესებს რესურსების მართვის ეფექტიანობას.

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია, შეაფასოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორზე და განსაზღვროს

ის ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც ტექნოლოგიური წინსვლა იძლევა როგორც ადგილობრივი განვითარების, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების თვალსაზრისით. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ კვლევის მეთოდოლოგიურ მიდგომას. რესპონდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შეფასებულია მათი ინფორმირებულობის დონე, ტექნოლოგიების მიმართ დამოკიდებულებები და არსებული ტენდენციები. რაოდენობრივი მონაცემები უზრუნველყოფს აშკარა სურათს, თუ როგორია აგრარულ სექტორში ტექნოლოგიების გამოყენების გავრცელება, ძირითადი ბარიერები და რესპონდენტთა მზაობა ინოვაციების მიმართ. მიღებული სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება ტენდენციების იდენტიფიკაციისა და პოლიტიკის შესაფასებლად. გარდა ტექნოლოგიებისა ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდების ჩართულობაზე, საგანმანათლებლო მხარდაჭერასა და სახელმწიფო პოლიტიკის როლზე, როგორც ტექნოლოგიური ინიციატივების ხელშემწყობ ფაქტორებზე. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის სტიმულირებას, აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას

კვლევა ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევა იქნება მიმართული განათლების სისტემის გაუმჯობესების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ეკონომიკური მხარდაჭერის მექანიზმების შექმნისკენ. რეკომენდაციების მიხედვით, სოფლის მეურნეობის სფეროში უფრო მეტი ინვესტიცია და მიზნობრივი პოლიტიკის განხორციელება ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის აჩქარებას და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები, თანამეროვე ტექნოლოგიები, დრონები, სოფლის მეურნეობა, ახალგაზრდების ჩართულობა, აგრარული განათლება, სახელმწიფო პოლიტიკა, ინოვაციები, ეკონომიკური ზრდა.

Abstract

Agriculture in Georgia represents a significant economic sector; however, the development of this field faces many challenges. Modern agriculture cannot be perceived merely as traditional agrarian activity — it is increasingly transforming into a technological and innovative sector that serves as a significant driving force in the country's economic development process. The integration of technologies in agriculture involves automation, digital data analysis, the use of modern irrigation systems, mechanization, agricultural robotics, and other innovative solutions, which significantly increase production volumes, reduce costs, and improve resource management efficiency.

The main objective of this study is to assess the impact of modern technology implementation on Georgia's agricultural sector and determine the economic benefits that technological advancement provides both for local development and for strengthening the country's economy as a whole. The research is based on a mixed methodological approach — quantitative data was used to assess respondents' awareness, attitudes, and trends, while qualitative research allows for in-depth analysis of existing barriers, opportunities, and policy effectiveness.

Beyond technologies, attention is focused on youth engagement, educational support, and the role of state policy as factors facilitating technological initiatives. The information obtained from the research will be used to formulate practical recommendations aimed at stimulating technological transformation, enhancing the competitiveness of the agricultural sector, and ensuring long-term economic sustainability.

The research confirms that the development of the agricultural sector is possible only if joint efforts by the state and private sector are directed toward improving the education system, implementing new technologies, and creating economic support mechanisms. According to

the recommendations, greater investment and targeted policy implementation in the agricultural sphere will contribute to accelerating economic growth and improving societal well-being.

Keywords: modern technologies, drones, agriculture, youth engagement, agricultural education, state policy, innovations, economic growth.

მადლობა

„მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ასევე განსაკუთრებულ მადლობას გამოვხატავ იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც თავიანთი დრო დაუთმეს და მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.“